,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

კომისიამ განიხილა „,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები:

რადგანაც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად: ,,მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის/აქციების შეძენის შესახებ ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად გახდომის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.''

აღნიშნული თანხმობის გაცემა მიზანშეწონილი იქნას საკითხის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

შესაბამისად საჭიროა დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულყოფილ და ობიექტურ განხილვას, აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან.

დაევალოს მერიის შესაბამის სამსახურს განმარტებითი ბარათის სახით წარმოადგინოს საშტატო რიცხოვნობისა და საფინანსო გაანგარიშების სამუშაო ვერსია ბიუროს სხდომაზე.

,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;''

კომისიამ განიხილა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ' განკარგულების **პ**როექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები:

რადგანაც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად: ,,მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის/აქციების შეძენის შესახებ ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად გახდომის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.''

აღნიშნული თანხმობის გაცემა მიზანშეწონილი იქნას საკითხის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

შესაბამისად საჭიროა დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულყოფილ და ობიექტურ განხილვას,

აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან. დაევალოს მერიის შესაბამის სამსახურს განმარტებითი ბარათის სახით წარმოადგინოს საშტატო რიცხოვნობისა და საფინანსო გაანგარიშების სამუშაო ვერსია ბიუროს სხდომაზე.